ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.04.2016 წ.-დან 16.05.2016-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია ერთი სხდომა, რომლებზეც განიხილა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ გაწეული მუშაობისა და მომავალი ღონისძიებების თაობაზე“ დირექტორ მაია ქუტიძის ინფორმაცია.

ცენტრის ხელმძღვანელმა მაია ქუტიძემ კომისიის წევრებს დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ძირითად ფუნქციებსა და მათ მიერ შესრულებულ ვალდებულებებზე. კერძოდ, ანგარიშში აისახა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადეობრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგის მიერ შესრულებული ეპიდსაწინააღმდეგო სამუშაოები, ჩატარებული ეპიდკვლევა. სამიზნე კონტიგენტის შესაბამისად განხორციელებული იმუნიზაციის მიმართულებით სათანადო ღონისძიებები და ასევე მალარიის, ჰელმინთოზების წინააღმდეგ გატარებული, პრევენციული და კონტროლის ბრძოლის ღონისძიებები.ცენტრთან თანამშრომლობა სამომავლოდაც გაგრძელდება და კომისია ინფორმაციას ოპერატიულად მიიღებს ყველა იმ დაგეგმილ ღონისძიებაზე, რომლიც ზაფხულის სეზონის დაწყებისთანავე განხორციელდება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია მიესალმება მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან ერთად განხორციელებულ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ინფორმირების სისტემის ამოქმედებას თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. მოხარულები ვართ რომ ამ საუცხოო პროექტით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ინტერესის სფეროს მიხედვით, თვითმმართველობის საკითხებზე ინფორმაციას სმს-ის სახით მიიღებს. ყოველივე ზემოთაღნიშნული კიდევ ერთხელ შეუწყობს ხელს კომისიას დაკისრებული მოვალეობის და უფლებამოსილების განხორციელებაში. ოზურგეთის

მუნიციპალიტეტში ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მექანიზმების დანერგვა სამაგალითოა დღეს არსებულ საჯარო სივრცეში.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ , ამავე კომისიის წევრთან ვლადიმერ ვადაჭკორიასთან ერთად , მონაწილეობა მივიღე ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის მიერ ორგანიზებულ საჯარო დისკუსიაში თემაზე: ,,არასრულწლოვანთა დაცვა ალკოჰოლისა და ტამბაქოს ზემოქმედებისაგან“. დისკუსიის დროს განხილულ იქნა საკითხები: ალკოჰოლიზმი ქართულ სინამდვილეში და საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა მოზარდების მიერ ალკოჰოლის მოხმარების მიმართ.

მიმდინარე წლის 7 და 8 მაისს კი ანაკლიაში მონაწილეობა მივიღე ტრენინგში თემაზე: „საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებში",რომლის ორგანიზება განხორციელდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ. - რელიგიური ტოლერანტობის, სეკულარიზმისა და რელიგიის თავისუფლების შესახებ სემინარები ექსპერტებმა და სააგენტოს თანამშრომლებმა ჩაატარეს. პროექტი კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

არ შემიძლია არ გამოვეხმაურო მასშტაბურ ღონისძიებას ჩვენს მუნიციპალიტეტში. კერძოდ იმ ფაქტს, რომ საქართველოს კაიაკინგის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით 6-7 მაისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში, მდინარე ბჟუჟზე მასშტაბური სპორტული ღონისძიება ექსტრემალური კაიაკინგის საერთაშორისო ჩემპიონატი-“BZHUZHA RACE” ჩატარდა. საზეიმო ჩემპიონატი თეატრალურ მოედანზე ოფიციალურად გაიხსნა. ჩემპიონატში 11 სხვადასხვა ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, რუსეთი, ლატვია, პოლონეთი, სლოვენია, ესტონეთი, საფრანგეთი, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, ნორვეგია) წარმომადგენელმა - 42 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.მსგავსი მასშტაბის ექსტრემალური შეჯიბრი საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. ფედერაციის პარტნიორები და თანაორგანიზატორები არიან მსოფლიოს გამოჩენილი კაიაკერების ჯგუფი, რომლებიც რანგით მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში შედიან. აღნიშნულ და კიდევ სხვა განხორციელებულმ აქტივობებზე დეტალურ ინფორმაციებს კომისია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ტურიზმის სამსახურისაგან უახლოეს სხდომაზე მოისმენს.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია